# ახალი განათლება

28.05-03.06.2020

№19 (893) გაზეთის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge





*ყველას გვინდა შევეგუოთ საშინელ ჰეაღობას, ჰომ მაისში დაგეგმილი ბოლო ზარი ჩაიშალა, თუმცა დროებით, ვფიქრობ, ყველაფერი წინ აჰის, ყველაფერი ჯაჰგად იქნება და სექტემბერში მოგვეცემა საშუალება, ჰომ სისჰელეში მოვიყვანოთ ის ყველაფერი, ჰასაც ვაპირებდით: სიმღერის ჩაწერა, ცეკვების დადგმა, ვიდეოჯოლაჟის გაკეთება და სხვა მსავალი საინტერესო ჰამ. ჩემი აზრით, სიმბოლური და საინტერესოც ჯი იქნება – პირველკლასელებისთვის პირველი ზარის და ჩვენთვის ჯი ბოლო ზარის ერთდროულად დარეკვა მაშინ, როდესაც ისინი პირველად შეაბიჯებენ სკოლაში და ჩვენ ჯი, იმედია უკვე სტუდენტები, საბოლოოდ გამოვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ სკოლას.*

ნინესა საყვარელიძე
*თბილისის 161-ე საჯარო სკოლა*

*მე დიდი სიხარულით ველოდი ამ მომენტს, ფილმივით მქონდა წარმოდგენილი მთელი დღე, წინასწარ ვივსებოდი ამ უდიდესი მოვლენის ემოციებით. დიახ, დიახ, ეს მართლაც ჰომ უდიდესი მოვლენა უნდა ყოფილიყო ნებისმიერის ცხოვრებაში, სხვა სიტყვას ვერც შეარჩევ. იმედია, ამ დაუვიწყარი დღის გარეშეც დიდი შემართებითა და ხალისით გადავალთ ცხოვრების ახალ ეტაპზე, ერთი ჯენერაციული დღე ხომ მთავარი არაა, მთავარია ყველაფერი ის, რაც ამ 12 წელმა დატოვა. მჯერა, ჰომ ამ დღის გარეშეც შევძლებთ ამ უდიდესი გამოცდილების დაფასებას!*

ნიკეშა ცქიტიშვილი
*ვლადიმერ ჯომარდოვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა*

*თბილისში, 1888 წელს, დაარსდა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, ჰომლის მიზანი იყო, უკვდავეყოთ ჩესეთის არმიის წარმატებები კავკასიაში ომების დროს. 1889 წლის დეკემბერში, უმაღლესი განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ქონების სამმართველომ მინის ეს ნაკვეთი, ჩესთაველის პროსპექტზე, გადასცა სამხედრო საინჟინრო უწყებას, ჰომელმაც პროექტის შედგენა იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ არქიტექტორს, აღბერტ ზალცმანს შეუკვეთა.*

*მუზეუმის მშენებლობა 1890 წელს დაიწყო და 1892 წელს დამთავრდა, მაგრამ მასში ექსპონატების გამოფენის მოწყობა ძალზე გაჭიანურდა, მკვიდრ დაფინანსებისა და ფორმალურ-ბიუროკრატიული მიზეზების გამო. დიდი წვალების შემდეგ, 1907 წლის თებერვალში, გაიხსნა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, ჰომელსაც „დიდების ტაძარი" ეწოდა.*

*არ, როგორ აღწერს სპარსელი მოგზაური მაჯდ-ოს-საღანე სამხედრო მუზეუმს: „ეს მუზეუმი მდებარეობს დიდ ბულვარზე სანალიზო ბაღჩის ბოლოში, შიგ ქალაქის ცენტრში. შენობა ერთსართულიანია. აქ შეგროვილია სომარი საჭურველი, თოფები და ყუმბარები, ჰომლებიც ჩაიგდო ხელთ ჩესის ჯარმა მტრებთან წარმოებული ბრძოლების დროს. ეს იარაღები განსაკუთრებული ჰიგიენაა განლაგებული და ერთმანეთთან ჯაჭვებითაა გადაბმული. თითოეულ თოფს თავზე გაკეთებული აქვს მოოქრული სახელმწიფოს ნიშანი – არნივი. თოფების მეტ წილს ოსმალეთის სახელმწიფო ნიშანი აზის. შუა მუზეუმში ჩამოკიდებულია ბატალური სცენების ამსახველი სურათები, ჰომელთა ქვემ მინერილი აქვთ მოკლე ანოტაციები. ესენი უმეტესად ჩესთა ჯარის სხვადასხვა ბრძოლების შესახებ მოგვითხრობენ. უხვადაა წარმოდგენილი სამხედრო დროშები, ოფიცერთა ხმლები და ჰიგიენი ჯარისაცების სომარი იარაღები, ჰომელთა უმრავლესობა ოსმალური წარმოშობისაა – თუმცაღა ეს საკითხი ძველი დავის საგანია. უკანასკნელი ომის ყვარი არა ჩანს ამ მუზეუმში. იარაღები იარაღები ბევრი ვნახე".*

*ტიკიან ტაბიძე წერდა: „დიდების ტაძარი... მხოლოდ ჩვენი მონობის დიდების ტაძარი იყო, სადაც ეკიდა საქართველოს დახეული დროშები, შამილის გამტყდარი ხმალი და ჰაჯი-მურატის ტანზე შეხსნილი მუზარადები, ჰომელსაც გარს ეტყა ჩესეთის ცარიზმის ზარბაზნები და იმპერატორის აღექსანდრე I მაცდური მანიფესტის თეჯის სიტყვები".*

*დიმიტრი შევარდნაძემ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, საფუძველი ჩაუყარა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას. 1917 წელს „დიდების ტაძარში", მისი თაოსნობით, ჯედლის მხატვრობის პრიზების გამოფენა მოეწყო. შემდეგ ეს შენობა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას გადაეცა და 1920 წელს, საქართველოში, სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი – „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა" გაიხსნა, ჰომლის ხელმძღვანელად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა.*

შუალედური ანალიზი

# ქვეყნის რჩეული პედაგოგები გაციფრებული სწავლების შესახებ

*ონლაინ სწავლება უკვე გარკვეულ ფაზაშია და მცირე შუალედური ანალიზის გაკეთებაც შესაძლებელია. რა შესაძლებლობები და რა გამოწვევები გაჩნდა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში? გაციფრებული სწავლების ორთვიანი პერიოდის შეფასება ვთხოვეთ ქვეყნის რჩეულ პედაგოგებს: ლადო აფხაზავას, მანანა კაპეტივაძეს და გიორგი ჭაუჭიძეს. ჩვენი რესპონდენტები გულღიად საუბრობენ იმ გამოწვევაზე, რაც სისტემაში კრიზისულ პერიოდში კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა, თვალს არ ხუჭავენ სიკეთეზეც, რომელიც შეიძლება კარგ შესაძლებლობად აქციონ და, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე, გვიყვებიან თავიანთ ღვაწლზეც, რომელიც განათლების ხელმისაწვდომობაში უდიდეს როლს თამაშობს – მათთვის მნიშვნელობა არ აქვს რომელი მოსწავლე დარჩება განათლების მიღმა – ყველა ერთნაირად საზრუნავია.*

**ლადო აფხაზავა**
*ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი*

➪ **დისტანციური სწავლება** ცოტა გვიან დავიწყე, თიმსშიც გვიან შევედი. კოლეგები ატარებდენენ გაკვეთილებს, მაგრამ მხოლოდ სამი თუ ოთხი ბავშვი ესწრებოდა გაკვეთილს, მე ასე არ მინდოდა. თან იქ, სადაც გამოწვევა დგას, მხოლოდ შენით და შენი მოსწავლეებით არ უნდა შემოიფარგლო. მოკლედ, მე კი ჩავატარებდი გაკვეთილებს და დაესწრებოდა ის, ვინც შეძლებდა – 5-6 მოსწავლე, მაგრამ იმ ბავშვებმა რა დაეაშავეს, ვისაც ხელმოკლეობის გამო ეს შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ამიტომ, მასობრივი რომ გამხდარიყო განათლების ხელმისაწვდომობა, ძალიან ბევრი ვინმე შევანუხე ამისთვის. მაქსიმალურად შევეცადე, რაც შეიძლება ბევრი მოსწავლისთვის ყოფილიყო ონლაინ გაკვეთილები ხელმისაწვდომი ჩემს რაიონში, ახლაც გამუდმებით ვეძებ სპონსორებს, არ ვჩერდები, სასწავლო წლის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩება, შესაბამისად, ბავშვებს ინტერნეტი სჭირდებათ.

➪ **დავიწყე თანხების მოძიება** და როცა ინტერნეტი უფრო მეტი მოსწავლისთვის გავხადე ხელმისაწვდომი, მხოლოდ მაშინ დავიწყე ონლაინ გაკვეთილების ჩატარება – შემოუერთდა 15, 20, 23 მოსწავლე, ეს უკვე სულ სხვაა. თავიდანვე მიზნად დავისახე, მხოლოდ ჩიბათის სკოლის მოსწავლეებზე კი არ მეზრუნა, არამედ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს დავხმარებოდი. თავისთავად, ჩემი მოსწავლეების ბედი განსაკუთრებულად მაღელვებს, მაგრამ რამნიშვნელობა აქვს რომელი მოსწავლე დარჩებ აგანათლების მიღმა – ყველ ამოსწავლეზე ერთნაირად შემტკივა გული.

პირიქით, უფრო მეტადაც კი ვნერვიულობდი იმ ბავშვებზე, ვისაც განათლების შესაძლებლობა თუნდაც იმის გამო არ ექნებოდათ, რომ მათზე არავინ იზრუნა. ამიტომ აქტიურად ვითანამშრომლე სოციალურ სამსახურთან. ლანჩხუთს არაჩვეულებრივი სოციალური მუშაკი ჰყავს, ნინო ჩხარტიშვილი და სწორედ ნინომ მოგვაწოდა იმ ბავშვების სია (ყველა ქეისი კონფიდენციალურია), რომლებსაც ამ ეტაპზე სჭირდებოდათ ჩვენი დახმარება. მიუხედავად ამისა, ჩვენ 405 მოსწავლეზე ავედით – პირველ ეტაპზე, სწორედ ამდენ მოსწავლეს დავუფინანსეთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სრულად რამდენიმეთვიანი ინტერნეტი.

➪ ყველაზე მეტად ჩემმა „ცელქობამ“ იმუშავა – ორგანიზაციებს მოსვენება არ მივეცი, მინდოდა, მოსწავლეებისთის ინტერნეტპაკეტი შეეძინათ. გამომივიდა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 220 მოსწავლეს ჩაურიცხა 19-ლარიანი ულიმიტო ინტერნეტი. ამას მოჰყვა სხვა ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების თანადგომაც და პირველ ეტაპზე, დღემდე, შევძელით 405 მოსწავლის ინტერნეტით ორი თვით უზრუნველყოფა, ხოლო მეორე ეტაპზე 320 მოსწავლეზე ავედით. თუმცა, ეს ციფრი საბოლოო არ არის, უახლოეს პერიოდში კიდევ 34 მოსწავლე დაემატება და იმედია, არც ამით დასრულდება, რადგან, ვფიქრობ, რომ კეთილ ადამიანებს რა დალევს. როგორც გითხარით, პირველ ეტაპზე, მხარში დაგვიდგა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თუმცა, ამ დღეებში, ჩვენი გასაჭირი კიდევ ერთმა უნივერსიტეტმა მიიტანა გულთან და 50 მოსწავლეს ინტერნეტი ახლა კავკასიის უნივერსიტეტმა შეუძინა, ბატონი კახა შენგელია თავად გვესტუმრა ჩიბათში. ასევე ძალიან მიხარია, რომ გვერდში დამიდგნენ ჩემი ყოფილი მასწავლებლებიც, მათ შორის, ჩემი ფიზიკის მასწავლებელი ანზორ დობორჯგინიძე; ყოფილი მოსწავლე მარიამ ხანთაძე და ადამიანები, რომლებისთვისაც გურული ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა მნიშნელოვანი აღმოჩნდა – ზაზა ფუტკარაძე (საფრანგეთში მცხოვრები ქართველი), ვაჩე თავდიშვილი და კიდევ ბევრი კეთილი ადამიანი, რომელთა სახელებს, მათივე თხოვნით, არ ვასახელებ. თავიდან, როცა „ხმაური“ დავიწყე და ამ ციფრებზე ვერც ვიფიქრებდი, უბრალოდ, მინდოდა, ამით საზოგადოების ყურადღება მიმექცია და მათთვის მეთქვა, რომ დაგვიდექით გვერდში, ნუ დავტოვებთ ბავშვებს განათლების მიღმა. მიხარია, ამ ხმაურმა შედეგი რომ გამოიღო და გამოძახილი ჰპოვა ამ კეთილი ადამიანების სახით.

➪ **ერთია მოაგვარო ტექნიკური პრობლემები**, მაგრამ ასევე უმნიშვნელოვანესია, ონლაინ გაკვეთილები გახადო ძალიან საინტერესო, რადგან აქტივობებს მიჩვეულ ბავშვებთან მდორე გაკვეთილებით ვერაფერს გახდები. ამიტომ, ახლა უარესი გვაქვს. ერთი გაკვეთლის მაგალითს მოგიყვებით:

მოსწავლეებს უნდა ავუხსნა, მაგალითად, მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა, მაგრამ რთულია მშრალი ტექსტით ისე დააინტერესო ისინი, რომ მოგისმინონ. ამიტომ, ასეთი რამ მოვიფიქრე: რობინზონ კრუზოს ფილმი დავჭერი მონაკვეთებად და, პატარ-პატარა ვიდეოების ინტეგრირებით, შევეცადე მასლოუს პირამიდის საფეხურების მნიშვნელობის ახსნა. გაჭრა! ფილმის დასაწყისი – სცენა, როცა რობინზონ კრუზო გადარჩა და ზღვიდან ამოდის – ეს მომენტი ვაჩვენე ბავშვებს და ვკითხე: აბა, შეხედეთ, ახლა ამ მდგომარეობაში მყოფ რობინზონ კრუზოს რა მოთხოვნილებები ექნება? დაღლილია და ძლივს მოაღწია კუნძულამდე, კარგად იფიქრეთ. კითხვა დასრულებული არ მაქვს, რომ ერთვებიან აქტივობაში და იწყებენ იმ მოთხოვნილებების ჩამოთვლას, რაც შეიძლება რობინზონ კრუზოს ჰქონდეს – დაძინება მოუნდება, საჭმელი უნდა ჭამოს, დაისვენოს, წამოწვება და ფეხებს ზემოთ ასწევს, დაისვენებს, წყალს დალევს... შემდეგ ისევ კითხვის დასმით, ისევ მათი პასუხებით მივდივართ დასკვნამდე, თუ რა არის ის მოთხოვნილება, როცა უნდა დაიძინო, ჭამო, დაისვენო და ა.შ. ანუ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ფიზიოლოგიური მოთოვნილებაა და მასლოუს პირამიდის პირველი საფეხური სწორედ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, რომლის ვერდაკმაყოფილების გარეშე ადამიანი წინ ვერ წავა. ამის შემდეგ, უკვე გადავდივართ მეორე საფეხურზე – უსაფრთხოებაზე და ისევ რობინზონ კრუზოს მაგალითით ვცდილობთ, ყველამ ერთად ამოვხსნათ, რატომ გაიკეთა მან მაღალ ხეზე სახლი, ანუ თავშესაფარი. ძალიან კარგ პასუხებს ვიღებ მათგან: მხეცებმა რომ არ დაგლიჯონ, იმიტომ, რომ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, იმიტომ, რომ... ვხვდები, რომ ფიქრობენ, მთელი გულით არიან ჩართული პროცესში. მოკლედ, უსაფრთხოების თემასაც კარგად გავდივართ და შემდეგ, მესამე საფეხურზე – სიყვარულზე გადავდივართ და ა.შ. ამასთან ერთად, იმდენი ვილაპარაკეთ მთავარ გმირზე, რომ იმას, ვისაც წაკითხული არ აქვს ეს ნაწარმოები, მოუნდა რობინზონ კრუზოს წაკითხვა. წიგნის კითხვის სურვილი თავისთავად ჩნდება და ეს ძალიან მახარებს. ეს მაგალითი იმისთვის მოგიყევით, რომ უკეთ ამეხსნა, რა ტიპის გაკვეთილებია საჭირო ონლაინ სწავლებისთვის, თორემ ლექციურ სახეს თუ მივცემთ, 15 წუთში ჩავარაკრაკებთ და ნაკლებადაც დავიღლებით, მაგრამ ბავშვმა რა გაიგო? ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ შეიძლება ვერც ვერაფერი. ონლაინ გაკვეთილმა უნდა გააოცოს ბავშვი და ისე ჩაითრიოს, რომ შემდეგ გაკვეთილს მოუთმენლად დაელოდოს და შემოსვლა არ დაეზაროს.

➪ **იცით ონლაინ გაკვეთილები კიდევ რატომ მომწონს?** მშობლების გამო, ძალიან მომწონს მშობლებიც რომ გვიახლოვდებიან ონლაინ ჩართვებისას, ბებია-ბაბუებიც კი. საოცრად მახალისებს, ბებიები რომ მეუბნებიან – „ერთი წუთით, გარეთ ვიყავი გასული და დაიწყე თავიდან, რა ქნა იმ კაცმა, რაი ქნა?“ ეს იმდენად სახალისოა და ისეთი საყვარლები არიან, რომ ვერ გადმოგცემთ. თუ მოხდა და გაკვეთილზე ჩართვა დამაგვიანდა, ამას არ მაპატიებენ, მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ, ამას წინათ, დამირეკა და მითხრა: ლადო მასწავლებელო, კეთილი ინებეთ, დროზე დალიეთ ყავა და დროზე შემოდით გაკვეთილზეო. სულ ხუთი წუთი დავაგვიანე. იმდენად საყვარელია ეს ბავშვი, ვერ მოითმინა, ეჩქარებოდა გაკვეთილზე ჩემი გამოჩენა, ალბათ, რაღაც საინტერესოს ელის ჩემგან და უნდა, სახლში ყოფნის დრო საინტერესოდ და სასიამოვნოდ აქციოს. ყველა მასწავლებელი უნდა იყოს მოწადინებული, რომ გაკვეთილები მოსწავლისთვის სასურველ დროდ აქციოს, მრავალფეროვნებით კი, ბავშვებს დროის შეგრძნება დააკარგინოს.

➪ **ონლაინ სწავლება მაინც ცოდნაზეა დამყარებული,** ამიტომ ვერც ამ პერიოდში შევძელი დამატებითი პროექტების გარეშე და მე და ჩემმა მოსწავლეებმა გავაკეთეთ ასეთი ონლაინ პროექტი – დავაფესვიანეთ კოლხური ბზა და უკვე 400 ნერგი გვაქვს თავმოყრილი სკოლაში. აქტიური მშობლები შვილების გამოყვანილ ნერგებს ერთ ადგილზე გვიტოვებენ, შემდეგ სკოლაში მიგვაქვს, იქ, საგანგებოდ, დარაჯს ვაბარებთ, რომელიც ყოველდღე რწყავს. როგორც კი ეს სიტუაცია ჩაივლის, ჩვენ ერთად დავრგავთ კოლხურ ბზას სკოლის ეზოშიც და სხვა ოგანიზაციებშიც, მაგალითად, დაგეგმილი გვაქვს, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში გავაშენოთ გადაშენების პირას მისული უნიკალური კოლხური ბზის ხეივანი. მჯერა, ეს დროც მალე დადგება.

➪ **მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ მაწავლებელს** სრული კომპეტენცია არ გააჩნდა ონლაინ სწავლებისთვის, 90-მა პროცენტმა მაინც გაართვა თავი. ჩვენთან ასაკოვანი მასწავლებლებიც არიან და მათ, რასაკვირველია, თავიდან გაუჭირდათ, თუმცა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობისა და მონდომების ხარჯზე, ბევრ ახალგაზრდაზე უკეთ შეძლეს ეს ყველაფერი.

ერთხელ ჩვენს ჯგუფში დავწერე, რომ არ არის სირცხვილი იმის სწავლა, რაც არ ვიცით, რომ ხშირად ბავშვებმა უკეთ იციან ტექნოლოგიებთან ურთიერთობა, ამიტომ, მოდით, ბავშვებსაც დავეკითხოთ. არც ის დამიმალია, რომ პირველად თიმსში ჩემმა მოსწავლემ ჩამრთო, მისგან მივიღე რჩევები. ამაში ცუდი არაფერია. მთავარია, ვისწავლოთ, ვეცადოთ და გამოგვივიდეს. მიზნის მისაღწევად ასეთი გზების გამოყენებაც შეიძლება. ამიტომ, კოლეგებო, არ შეგრცხვეთ ერთმანეთისგან სწავლა და მოსწავლისგან რჩევების მიღება. დავალება როგორ დამემატებინა თიმსში ესეც ჩემმა მოსწავლემ მასწავლა და ვუთხარი, რომ ძალიან მადლიერი ვარ ამისთვის. ამით ჩემს მოსწავლეებს თანამშრომლობის კულტურასაც ვაჩვევ და იმასაც, რომ მოსწავლე და მასწავლებელი სასწავლო პროცესში ერთმანეთისგან სწავლობენ, ერთმანეთს უზიარებენ. რაც მთავარია, უფროსი თაობაც და ახალგაზრდებიც გაგებით მოეკიდნენ ამ ყველაფერს და ერთად, რაღაცნაირად შევძელით ამ გლობალურ გამოწვევაში ჩვენი ადგილის პოვნა.

➪ **ამდენად, ჩვენს რეგიონში ონლაინ სწავლება ერთმანეთის მხარდაჭერით მიდის**. როგორც გითხარით, პირველ რიგში, ეს თანამშრომლობაა მოსწავლესა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და მშობელს შორის და, რასაკვირველია, არც კი განვიხილავ იმას, რომ ასეთი დიდი შრომა ვინმემ წყალში ჩაგვიყაროს და სემესტრი არ ჩაგვითვალონ. მეტიც, რა კომპეტნციაშიც უჭირდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, ის კომპეტენციებიც კი დავძლიეთ, მარტო ამისთვის უნდა ჩაითვალოს სემესტრი და მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის მონაპოვარი – ონლაინ სწავლება აუცილებლად კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და განვითარდეს მომავალში.

➪ **რაც შეეხება სახელმწიფოს მხარდაჭერას**, ვისურვებდი, რომ განათლების სამინისტრომ წინასწარ გათვალოს ხოლმე ის შესაძლო გამოწვევები, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს, ერთ მშვენიერ დღეს, სისტემა – ცოტა ადრე რომ დაგვეწყო ონლაინ სწავლებაზე ფიქრი, გაცილებით უფრო ადეკვატურად და იოლად გავართმევდით თავს ამ გამოწვევას, თუნდაც, როგორც ეს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეძლეს. სამინისტროს მხრიდან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ მოსწავლეებს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და მხოლოდ კერძო ინიციატივების ამარა არ უნდა ტოვებდეს მათ. ჩვეულებრივმა, რიგითმა მასწავლებლებმა შევძელით ორგანზაციებთან მსგავსი თანამშრომლობა და მოვიპოვეთ დაფინანსება, ხომ წარმოგიდგენიათ, განათლების სამინისტროს რამდენად იოლად შეუძლია ამის მოგვარება.

## შუალედური ანალიზი

**მანანა კაპეტივაძე**
*ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი*

➪ **ონლაინ სწავლებაზე ძალიან მალე გადავედით** და მეცადინეობა ზუმის აპლიკაციით დავიწყეთ, ამიტომ ახლაც ზუმით ვაგრძელებ, რადგან თიმსზე გადასვლა ისევ თავიდან შექმნიდა გარკვეულ დაბრკოლებებს ახალი პლატფორმის შესწავლისას. სიმართლე გითხრათ, ახლა ამის დრო აღარ არის, თან ზუმი გაცილებით მარტივია, ვიდრე თიმსი. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა არ გამჭირვებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, სასწავლო პროცესის დროს, სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად კომპიუტერს მუდმივად ვიყენებ, როგორც რესურსს, მაგრამ სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ, ცხადია, სირთულეები შექმნა, რადგან არც მოსწავლეებს (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში) და არც მშობლებს სათანადო უნარები არ აღმოაჩნდათ, რომ დამოუკიდებლად გამკლავებოდნენ სირთლეებს. ამიტომ, მოსწავლეებთანსაკმაოდ ბევრი მუშაობა დამჭირდა იმ აუცილებელი ისტ უნარების მოკლე დროში გასავითარებლად, რასაც ონლაინ გაკვეთლებში ჩართვა და დავალებების შესრულება მოითხოვს. თუმცა, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდა მშობლებში ისტ უნარების განვითარებას. მშობლის გარეშე კი, ცხადია, დაწყებით საფეხურზე, ონლაინ სწავლების სრულფასოვნად წარმართვას ვერ შევძლებთ. მშობლების უმეტესობა, ძირითადად, ფეისბუქის მომხმარებელია, ამიტომ, თუნდაც ვორდის ფაილში მუშაობა ან რაიმეს ჩამოტვირთვა, გახსნა და ა.შ. მათთვის რთული აღმოჩნდა. აქვე დავამატებ – მშობლებთან საკომუნიკაციოდ, ელემენტარულად, ელფოსტის გამოყენებაც კი სირთულეს წარმოადგენს.

➪ **მივხვდი, რომ პირველ რიგში, აუცილებელი იყო მშობლის მომზადება** ონლაინ სწალებისთვის და შემდეგ უშუალოდ პროცესზე გადართვა. მშობლებთან მომიწია ინდივიდუალურად მუშაობა – ვასწავლიდი როგორ გადმოეწერათ ზუმი, როგორ დაეყენებინათ, როგორ ჩართულიყვნენ გაკვეთილში და ა.შ. ამ კუთხით, რამდენიმე კოლეგასაც დავეხმარე ( აქ იყო დაფის გაზიარების გაცნობა) და გაოცებული ვარ მათი მონდომებით. ის მასწავლებლებიც კი, რომლებსაც აქამდე არ ჰქონდათ შეხება ტექნოლოგიებთან, ისე აქტიურად მიჰყვებიან პროცესებს, რომ მართლა აღფრთოვანებული ვარ მათი დამოკიდებულებით.

გაკვეთილებზე მშობლების ჩართულობაზე როცა ვსაუბრობ, ცხადია, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებს ვგულისხმობ, მაღალი საფეხურის მოსწავლეებს მშობლების დახმარება აღარ სჭირდებათ, რადგან დამოუკიდებლად ართმევენ თავს. მოკლედ, როცა მშობლებში ეს პრობლემები დავძლიეთ, ონლაინ სწავლებამაც უფრო გამართული სახე მიიღო. თუმცა, ბავშვებთან ძალიან სერიოზული სამუშაო გვაქვს – გასავითარებელია კომპიუტერული უნარები. მართალია, მათთვის კომპიუტერი და, ზოგადად, ციფრული ტექნოლოგიები სულაც არ არის უცხო, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტად თამაშებზე არიან მიჯაჭვულები. როგორც კი სასწავლო პროგრამებზე უწევთ გადართვა, მაგალითად, ვიდეო პრეზენტაციის გაკეთება ან პოსტერის შექმნა, აქ უკვე პრობლემები ექმნებათ – დახმარების გარეშე ამის კეთება უჭირთ. ამიტომ, როცა ასეთ დავალებას ვაძლევ, ჯერ იმის შესახებ ვატარებ გაკვეთილს და დეტალურად ვხსნი რომელ პროგრამაში რა და როგორ გამოიყენონ. მხოლოდ ამის შემდეგ ქმნიან დამოუკიდებლად. ამიტომ, იმ პერიოდში, როცა სკოლებში პირისპირ სწავლებაზე გადავალთ, მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების განვითარებაზე სერიოზული მუშაობა მოგვიწევს.

➪ **ვფიქრობ, დისტანციურმა სწავლებამ** პოზიტივიც მოიტანა, რადგან ბავშვები უფრო მეტად არიან მოტივირებული აკეთონ ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც სწავლების/შექმნის პროცესს ძალიან საინტერესოს ხდის – მოსწონთ, როცა თავად უნდა მოიძიონ რამე და ისე გააკეთონ. ამ დროს მაქსიმალურად არიან ჩართულები. თავისით კეთება ძალიან ხიბლავთ. როცა მარტო გრამატიკულ დავალებებს აძლევ და მართლწერის წესებს ასწავლი, ბუნებრივია, სწყინდებათ. იგივე იყო სკოლაში, თუ პროექტზე ვმუშაობდით, უფრო მეტად იყვნენ ჩართულები, მეტად მოსწონდათ. ამიტომ ვიმეორებ, როცა დავუბრუნდებით ჩვეულებრივ სწავლებას, ონლაინ გაკვეთლების რაღაც ელემენტები უნდა დავტოვოთ, რადგან ეს მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო პროცესია, მოსწონთ და, ამასთან ერთად, ტექნოლოგიებისა და პროგრესის ეპოქაში ამის საჭიროებაც დიდია. ვისურვებდი, რომ სკოლებში დაინერგოს ციფრული განათლება და მისი ხარისხიანი უზრუნველყოფა.

➪ **კარგია, რომ არ დაგვავალდებულეს მასწავლებლები, თიმსში გვემუშავა თუ ზუმში...** არჩევანის თავისუფლება გვაქვს, რაც საქმეს აიოლებს – სამუშაოდ იმ პლატფორმას ვირჩევთ, რომელიც ჩვენთვის და ჩვენი მოსწავლეებისთვის უფრო ხელმისაწვდომია. მასწავლებლები ყველა ღონეს ვხმარობთ, მოსწავლეებამდე მივიტანოთ ის მასალა, ინსტრუქციები თუ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებისთვის შევქმენით ნებისმიერი ხერხით, იქნება ეს მესინჯერი, ფეისბუქჯგუფები თუ ტელეფონი.

➪ **ონლაინ სწავლება რაღაც ფაზაში უკვე შევიდა**, მაგრამ ცოტა ბუნდოვანია შეფასების სისტემა. ჩემი აზრით, აქ მეტი სიცხადეა საჭირო, მით უმეტეს, როცა სასწავლო წლის დასასრულამდე დიდი დრო აღარ დარჩა. არადა, ჩვენ არც კი ვიცით ზუსტად როგორ უნდა დავასრულოთ სემესტრი/სასწავლო წელი. ვიცით, რომ მოსწავლე, რომელიც ონლაინ გაკვეთილებს ესწრება და ყოველდღე იხარჯება, განმავითარებელი შეფასებით უნდა შევაფასოთ, მაგრამ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდება მოსწავლე, რომელიც საერთოდ არ ესწრება გაკვეთილებს. აქ, სიცხადესთან ერთად, მე პირადად, ვისურვებდი მათ გამიჯვნას ერთმანეთისგან, ისევ და ისევ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის მიზნით. აუცილებელია, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ გვესწრებიან გაკვეთლებზე, არ გვისმენენ და დავალებებს არ ასრულებენ, შევიმუშაოთ თუნდაც დამატებითი პროგრამები – ცალკე ვამეცადინოთ, თუნდაც საზაფხულო სკოლის ვარიანტი რომ შევქმნათ ან სექტემბერში, როცა სკოლაში სწავლა განახლდება. მთავარია, სასწავლო პროგრამიდან გამოტოვებული მონაკვეთი გავატაროთ. სხვაგვარად, ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლე, თუ ის სასწავლო პროგრამას სრულად არ გაივლის, თორემ, იმის ილუზია, ბუნებრივია, არ მაქვს, რომ მას, ვინც ახლა არ ერთვება ონლაინ გაკვეთილებში, მოგვიანებით გაუჩნდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა და დიდი ხალისით ჩაერთვებიან დამატებით მეცადინეობაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, არ დავტოვოთ ეს მოსწავლეები განათლების მიღმა, არც თავი მოვიტყუოთ და არც ისინი მოვატყუოთ, რომ მხოლოდ კლასიდან კალასში გადაყვანაა სკოლის ფუნქცია.

➪ **როგორ უნდა დავასრულოთ სასწავლო წელი?** ეს ჯერ არავინ იცის, რადგან ოფიციალური ინფორმაცია ამის შესახებ სამინისტროსგან არ გვაქვს. ბუნებრივია, კოლეგები ვსაუბრობთ და ვმსჯელობთ ამაზე, მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილებას ოფიციალური უწყებისგან ველით.

**გიორგი ჭაუჭიძე**
*მარნეულის №2 საჯარო სკოლის ქართული როგორც მეორე ენისა და ისტორიის მასწავლებელი*

➪ **დისტანციურ სწავლებაზე მოულოდენლად გადასვლამ** წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემას აქვს. ამ პრობლემებს ხატოვნად გადმოვცემდი ერთი წინადადებით: „მოსწავლემ მასწავლებელს ხმა გაუთიშა“ (აქ იმას არ ვგულისხმობ, სათანადოდ დაორგანიზებულ ონლაინ გაკვეთილში მოსწავლეს რომ შეგვიძლია შევუზღუდოთ სხვისთვის ხმის გათიშვის ფუნქცია, ხატოვნად ვამბობ-მეთქი).

➪ **რას ვგულისხმობ სისტემის პრობლემებში?** მწვავედ გამოჩნდა სისტემის დერეგულაციის აუცილებლობა. ამას ადასტურებს ის, რომ საოცრად ეფექტურად უმკლავდებიან სიტუაციას კერძო სკოლები, სადაც სწავლების ხარისხიც და მოსწავლეთა ჩართულობაც მაღალ დონეზეა. სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებულმა სისტემამ კი ისიც ვერ მოახერხა, რომ მის მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოების pdf ვერსიები შეეთავაზებინა მასწავლებლისთვის.

➪ **ჩვენ არ ვღალატობთ ტრადიციას** და საკუთარი არსებობის გამართლებას ფაფხურით (მოჩვენებითი საქმის კეთება) ვცდილობთ. თუკი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში, იმდენი კვლევა დაიწერა, რამდენიც მსოფლიოში არ დაწერილა, ამჟამად ისეთი პირ იუჩანს, რომ ონლაინ ვებინარებითა და ონლაინ სემინარებით დავამყარებთ.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო, განსაკუთრებით ახლა, უნდა მოუფრთხილდეს ფინანსებს და მოერიდოს არამიზნობრივ ხარჯებს, მით უმეტეს, მოსწავლეების ხელმისაწვდომობის გაზრდის საბაბით. არამიზნობრივად მიმაჩნია ნებისმიერი ლარი, თუკი ის კონკრეტული მოსწავლისკენ არაა მიმართული.

➪ **ჩემს საქმიანობას რაც შეეხება,** პირადად მე, კმაყოფილი ვარ ჩემი მოსწავლეების ჩართულობის როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლით. ვამზადებ რესურსებს, რომლებსაც სხვა მასწავლებლებსაც ვუზიარებ. მაგალითად, სულ ახლახან დავამზადე და ჩემს იუთუბარხზე გავაზიარე „ჭკვიანი ყვავი ყოშიმო“, რომელშიც წარმოდგენილია წერითი უნარის განვითარებისთვის შექმნილი რესურსი და, რაც მთავარია, მოცემულია რეკომენდაციები, როგორ დავამზადოთ მსგავსი მასალები.

**– მიხარია, რომ მსგავს რესურსებს** უშურველად აზიარებენ ჩემი კოლეგებიც, ყოველგვარი ცენტრალიზებული ორგანიზებისა და სახსრების ხარჯვის გარეშე. ძალიან მიხარია... ვისურვებდი, ამ მიმართულებით უფრო მეტად ეაქტიურათ კერძო სკოლებსაც, რადგან რესურსული მრავალფეროვნება ის წამალია, რომელიც ხარისხობრივად აამაღლებს ჩვენს შედეგებს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

## ინფორმაცია

# საქართველოში ფულბრაიტის პროგრამა ფართოვდება

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, Fulbright-ის პროგრამა აფართოვებს „ინგლისური ენის სწავლების ასისტენტის“ (ETA) პროგრამის საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უნივერსიტეტებში ინგლისური ენის მაღალი ხარისხით სწავლების ხელშეწყობას. ინგლისური ენის სწავლების შესაძლებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

განათლების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, კელი დეგნანმა, ვირტუალურად გამართულ ღონისძიებაზე, ხელი მოაწერეს Fulbright-ის პროგრამის 2016 წლის თანამშრომლობის მემორანდუმის დამატებას.

*„პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობამ მომანიჭა უფლებამოსილება, დღეს ხელი მოვაწერო მნიშვნელოვან მემორანდუმს, რომელიც უფრო მეტად გააფართოებს აშშ-სა და საქართველოს შორის განათლების მიმართულებით თანამშრომლობის არეალს.* – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა – *Fulbright-ის სტიპენდია წარმოადგენს აშშ-ს მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სტიპენდიას. ჩვენ მოხარული ვართ, რომ უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ათობით მოქალაქე სარგებლობს ამ უნიკალური შესაძლებლობით. მათ აქვთ საშუალება, სწავლა გააგრძელონ ამერიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დღეს Fulbright-ის პროგრამა კიდევ უფრო ფართოვდება და, მის ფარგლებში, ამოქმედდება პროექტი „ინგლისური ენის სწავლების ასისტენტი“ (ETA), რაც ხელს შეუწყობს რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ამ მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს ამერიკიდან Fulbright-ის სტიპენდიანტები ეწვევიან, რომლებიც რეგიონულ უნივერსიტეტებს ინგლისური ენის სწავლებაში დაეხმარებიან.*

*ფასდაუდებელია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ხელშეწყობაში და, პანდემიის პირობებში, ეს მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. მადლობა ამ ყველაფრისთვის ამერიკელ ხალხს, ამერიკის მთავრობასა და მის აღმატებულებას, ქალბატონ კელი დეგნანს“.*

როგორც კელი დეგნანმა განაცხადა, ძალიან მოხარულია, რომ მეტი ახალგაზრდა ამერიკელი ჩამოვა საქართველოს უნივერსიტეტებში ინგლისური ენის სწავლების ხელშესაწყობად. *„Fulbright-ის ინგლისური ენის სწავლების ასისტენტები არა მხოლოდ დაეხმარებიან ქართველ სტუდენტებს ინგლისური ენის შესწავლის გაძლიერებასა და განათლების მიღების პროცესში, არამედ შესაძლებლობას მისცემენ, მეტი გაიგონ ამერიკული კულტურისა და ღირებულებების შესახებ.“*

აღსანიშნავია, რომ ETA-ს პროგრამას, აქამდე, აშშ-ს საელჩო საქართველოს უნივერსიტეტებთან პირდაპირი თანამშრომლობით ახორციელებდა. მემორანდუმის ფარგლებში, ამერიკის საელჩოსა და განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის თანამშრომლობა ითვალისწინებს ამერიკისა და საქართველოს მთავრობების ერთობლივ ძალისხმევას, თანაბრად დააფინანსონ წელიწადში ინგლისური ენის სწავლების 6 ამერიკელი ასისტენტი, რაც მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, 30 ასისტენტის ჩამოყვანას გულისხმობს.

Fulbright-ის თანამშრომლობა საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის იმ ფართო ძალისხმევის ნაწილია, რომლითაც საქართველო ცდილობს, გააფართოვოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის, პროფესიული განვითარებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების კუთხით, რეგიონულ უნივერსიტეტებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობის გზით.

## გამოცდილება

# რა ვაკეთოთ ბავშვებთან ერთად დისტანციურად?

**რასაც აქამდე ვაკეთებდით – ვასწავლოთ და ვისწავლოთ, ოღონდ განსხვავებულ, საინტერესო და გამოწვევებით სავსე ფორმატში.**

თათა ჭანტურია

ეს კითხვა ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პირველ ხანებში განსაკუთრებით ხშირად გაისმოდა. მასწავლებლები შფოთავდნენ, ღელავდნენ ახალი და საკმაოდ რთული გამოწვევის წინაშე. დღეს ვითარება ბევრად შეცვლილია და გაცილებით უკეთესობისკენ – ლამის ყოველდღიურად იქმნება ახალი, მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსები დისტანციური გაკვეთილებისათვის. მასწავლებლებმაც ალღო აუღეს ამგვარ მუშაობას, საკუთარ თავში აღმოაჩინეს და განვითარეს ახალი უნარები, ნელ-ნელა იზრდება მათი მოტივაცია, საინტერესოდ, განსხვავებული ფორმატით წარმართონ დისტანციური გაკვეთილები.

და მაინც, ზოგიერთი მასწავლებლისთვის შეიძლება კვლავ აქტუალურად რჩებოდეს შეკითხვა: *რა ვაკეთოთ ბავშვებთან ერთად დისტანციურად?* ამ შეკითხვაზე პასუხი, ძალიან მოკლედ, ამგვარ ფორმულირებებამდე შეიძლება დავიყვანოთ: ყველაფერი, რისი კეთებაც მათთან ერთად აქამდე გვსურდა, მაგრამ დატვირთული საგაკვეთილო რეჟიმის გამო სრულყოფილად ვერ ვასწრებდით.

იქნება ეს ტექსტის სხვადასხვა კუთხით დამუშავება, ფილმის/ანიმაციის ყურება და განხილვა, მინი-კვლევის ჩატარება, ინტერვიუს ჩაწერა, დიორამებისა და მაკეტების დამზადება, ბავშვების სხვადასხვა ნიჭის გააქტიურება საგაკვეთილო პროცესში (სიმღერა, ცეკვა, კულინარია და ა.შ.), ამა თუ იმ აქტივობაზე, წაკითხულ თუ ნანახ მასალაზე რეფლექსიისთვის სათანადო დროის დათმობა და სხვ.

### ⇨ *მოვიფიქროთ საინტერესო, მრავალფეროვანი, კეთებაზე ორიენტირებული დავალებები*

ზოგადად, ადამიანები საუკეთესოდ ვსწავლობთ, როდესაც თავად ვაკეთებთ ამა თუ იმ საქმეს, ანუ ნასწავლსა თუ მოსმენილ თეორიას ჩვენივე ხელებით ვასხამთ ხორცს. დისტანციური რეჟიმი კარგი საშუალებაა, ბავშვებისთვის პროექტის ტიპის დავალების მისაცემად. იგულისხმება იმგვარი პროექტი, რომლის შედეგადაც ბავშვები რაიმე პროდუქტს (ვიდეო, ბუკლეტი, მაკეტი, პრეზენტაცია, ინსტალაცია, გამოფენა, პოსტერი, წიგნი, სხვ.) შექმნიან.

**ონლაინ რეჟიმში ისინი მარტივად შეძლებენ:**

✓ საქმის დანაწილებას;

✓ დამოუკიდებლად მუშაობისთვის განკუთვნილი დროის გადანაწილებას;

✓ ერთმანეთთან ონლაინ კომუნიკაციასა და ნამუშევრების გაზიარებას;

✓ მასწავლებელთან, ერთი ერთზე, წინასწარ შეთანხმებულ კომუნიკაციას გაზიარებისა და რჩევისთვის;

✓ ნამუშევრის კლასელებისთვის გაზიარებას.

**⇨ საგაკვეთილო აქტივობებსა და დავალებებში, შეძლებისდაგვარად, გავააქტიუროთ ყველა უნარი – ზეპირმეტყველების, აქტიური მოსმენის, კითხვის, წერის, მედიაწიგნიერების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების და სხვ.**

სხვადასხვა სამიზნე ცნების (იქნება ეს ტექსტის გაგება, ინტერპრეტაცია, განაფული კითხვა თუ სხვა) დამუშავებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობები და დავალებები დაგვეხმარება იმაშიც, რომ მეტ-ნაკლებად გავააქტიუროთ მოსწავლის სხვადასხვა უნარი და არ ვიყოთ ორიენტირებულნი მხოლოდ რაიმეს დასწავლაზე (ტექსტი, წესი, მათემატიკური ფორმულა თუ სხვა რამ). აქტივობების წარმართვისას მნიშვნელოვანია, მოსწავლე ხედავდეს ლოგიკურ ბმებს მათ შორის, რაც, ერთი მხრივ, დაეხმარება კონკრეტულ აქტივობაზე ფოკუსირებაში, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს თქვენ მიერ წარმართული პროცესის მთლიანობაში აღქმაში, მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვაში – **რას** აკეთებს, **რატომ** აკეთებს და **როგორ**. შეკითხვების დასმისას შევეცადოთ, მეტად გამოვიყენოთ „რატომ?“ და „როგორ?“ ტიპის შეკითხვები, რომლებიც საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე იქნება ორიენტირებული. არ დაგვავიწყდეს ე.წ. „კაუჭები“ – პატარა დამაინტრიგებელი დეტალები (საჭირო დროს პაუზა, ჩამთრევი ილუსტაცია თუ ტექსტი, პარალელი სხვა ტექსტსა თუ ფილმთან/ანიმაციასთან/ბავშვებისა თუ თქვენს პირად გამოცდილებასთან და სხვ.), რომლებიც დაგვეხმარება, შევინარჩუნოთ მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბავშვები ძალიან სწრაფად და მოქნილად იძენენ ICT-ისა და მედიაწიგნიერების უნარებს და ხალისით იყენებენ მათ, ადვილი მისახვედრია, რომ მასწავლებლებს შეგვიძლია ამის კარგად გამოყენება საგაკვეთილო მიზნებისთვის (მაგალითად, შეგვიძლია ვთხოვოთ მოსწავლეებს, დაამზადონ რაიმე ნივთისა თუ ელრესურსის გამოყენების ვიდეოტუტორიალი, შექმნან ონლაინთამაში, სხვადასხვა ონლაინპლატფორმის გამოყენებით დაამზადონ კომიქსები, პრეზენტაციები, ფოტოკოლაჟები, ბლოგები, გაახმოვანონ და ჩაწერონ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციები, დაამზადონ ხმოვანი წიგნები, წერონ ილუსტრირებული კარანტინის დღიურები და სხვ.).

ამ უნარების გააქტიურება და შესაბამისი დავალებების შეთავაზება შეიძლება პირველი კლასის მოსწავლეებთანაც კი, რასაკვირველია, მათი მზაობის, ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

**⇨ აუცილებლად გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების აქტივობები. მივაწოდოთ ბავშვებს კონსტრუქციული უკუკავშირი და ვთხოვოთ, თავადაც გაგვიზიარონ.**

სათანადო დრო დავუთმოთ განმავითარებელი შეფასების აქტივობებს. ეს, ერთი მხრივ, საუკეთესო საშუალებაა, დინამიკაში დავაკვირდეთ მოსწავლეების პროგრესს, მეორე მხრივ კი, გვერდიდან შევხედოთ ჩვენ მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესის მიღწეულ შედეგებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

არ დაგვავიწყდეს, არ დაგვეზაროს მოსწავლეებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება. ახლა, დისტანციურ ფორმატში, მასწავლებლის რჩევა, რეაგირება, კომენტარი (კონკრეტულად რა გააკეთე კარგად, კონკრეტულად რა ხარვეზი უნდა აღმოვფხვრათ ერთად) ორმაგად ღირებული და საგულისხმოა ბავშვებისათვის.

⇨ გაკვეთილების გარდა ჩვენიშნოთ ბავშვებთან არაფორმალური შეხვედრებიც ცხადია, საგაკვეთილო პროცესის მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით წარმართვა ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს ბავშვების ემოციური მდგომარეობა. ქვეყანაში, მსოფლიოში არსებული სტრესული ფონი, მეგობრებისგან მოშორებით ყოფნა, რასაკვირველია, ძალაუნებურად, გავლენას ახდენს პატარა ადამიანების განწყობაზე, ხალისზე, შინაგან მოტივაციაზე.

მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ბავშვებს ამ კუთხით. ძალიან სასურველია, რომ მან მოახერხოს, საგაკვეთილო შეხვედრების გარდა, მოსწავლეებს არაფორმალური შინაარსის შეხვედრებიც დაუნიშნოს, როგორიცაა, მაგალითად, **კითხვის საათი**, რომლის ფარგლებშიც უბრალოდ ერთად წაიკითხავენ ამა თუ იმ ტექსტს (ტექსტის შერჩევის პროცესში, რა თქმა უნდა, მოსწავლეებიც უნდა იყვნენ ჩართულნი) და ისაუბრებენ მის შესახებ; **დამრიგებლის საათი**, რომლის განმავლობაშიც ისაუბრებენ კლასის, როგორც გუნდის, ერთობის გეგმებზე, პრობლემებზე, მიზნებზე, შიდა ურთიერთობებზე (სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია თითო ბავშვს ინდივიდუალურადაც დაუნიშნოს ონლაინ შეხვედრა). რასაკვირველია, ეს არ იქნება მარტივი, რადგან მასწავლებლებისგან დამატებით ენერგიასა და ჩართულობას მოითხოვს, თუმცა, თუკი ამას წინასწარ დათქმული გარკვეული ინტენსივობით (და არა ყოველდღიურად) გააკეთებს და სწორად გადაანაწილებს საკუთარ დროსა და რესურსს, ამით უდიდეს მხარდაჭერას გამოუცხადებს თავის მოსწავლეებს, რომელთაც ყველაზე მეტად სწორედ ცოცხალი ურთიერთობები, მეგობრებთან თამაში, ხუმრობა, ერთმანეთის ამბებისა და ემოციების გაზიარება და მოსმენა აკლიათ. ერთი შეხედვით, უბრალო თემებზე საუბრით, იუმორით, ერთად მღერით, სხვადასხვა სახალისო თამაშით, ამბების მოყოლითა და მოსმენით მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს პატარა ადამიანებს.

### ⇨ *გავააქტიუროთ მშობელთა ჩართულობის კომპონენტი*

ონლაინ გაკვეთილები გამოწვევა მხოლოდ ბავშვებისთვისა და მასწავლებლებისთვის არაა. ეს სრულიად ახალი და დამაბნეველი რამაა მშობელთა დიდი ნაწილისთვისაც. მშობლებს, რომლებიც თავიანთი სამსახურეობრივი და ოჯახური საფიქრალით გადატვირთულნი არიან; მშობლებს, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ინტერნეტის საფასურის გადახდასა თუ ბავშვისთვის ტექნიკური აღჭურვილობის მობილიზებას დიდი ძალისხმევის ფასად (ან ზოგჯერ – საერთოდაც ვერ) ახერხებს, უჩნდებათ შეკითხვები, შფოთვები, ეჭვები:

✓ ბავშვი დიდ დროს ატარებს კომპიუტერთან, რამდენად კარგია ეს?

✓ სხვანაირად/სხვა მასალით სწავლობენ, მე არ ვიცი, ვერ ვეხმარები, ზოგჯერ ვერ ვიგებ, რას და რატომ აკეთებენ.

✓ მეც და ჩემი შვილიც მუდმივად შინ ვართ. რა ვაკეთოთ ერთად?

მასწავლებლებმა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშობლის სრულად ინფორმირება, მისთვის სწავლება-სწავლისა თუ მკაფიო ინსტრუქციების მიცემა, რჩევების მიწოდება, საჭირო დროს „ხარაჩოობის“ გაწევა ჩვენს ძირითად პასუხისმგებლობათაგან ერთ-ერთია. სინამდვილეში ჩვენ ამ დროს არა მხოლოდ მშობელს, არამედ ბავშვებს, მათ ჰარმონიულ განვითარებას ვეხმარებით. ამიტომაც მგონია, გარკვეული ინტენსივობით მშობლებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარება ძალიან სასარგებლო იქნება ყველა მხარისათვის. ამ შეხვედრებზე შეგვიძლია განვიხილოთ ყველა ის ფორმალური თუ არაფორმალური საკითხი, რომლებიც ვიცით, რომ მათ აწუხებთ ან ჩვენ გვინდა, რომ გავუზიაროთ. ეს საკითხები შეიძლება იყოს:

ამა თუ იმ სასწავლო მეთოდის, რესურსისა თუ მიდგომის წარდგენა/დემონსტრირება (რასაკვირველია, არა თეორიებითა და ბუნდოვანი ტერმინებით გაჯერებული ტექსტით, რითაც, დახმარების ნაცვლად, ფრუსტრაციას გამოვიწვევთ მათში).

სხვადასხვა ფსიქოლოგისა თუ განათლების სპეციალისტის საინტერესო ლექცია, სტატია, ტუტორიალი, რომლის გაცნობასაც მოჰყვება მისი ერთობლივი განხილვა, დისკუსია და კონკრეტული კლასის ჭრილში გაანალიზება.

კლასის საერთო გეგმებზე, საერთო მიღწევებზე საუბარი.

**⇨ და არავითარ შემთხვევაში – კონკრეტული მოსწავლის მიღწევისა თუ წარუმატებლობის საჯაროდ განხილვა.**

მშობლებისა და ბავშვებისათვის ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა – მაგალითად, რა გამოგვდის მე და ჩემს შვილს კარგად, რაც გვინდა დანარჩენებსაც გაგიზიაროთ და/ან გასწავლოთ (კულინარია, ერთად მღერა, მცენარეების მოვლა, აერობიკა, კითხვა, ცეკვა, ხატვა, მიწაზე მუშაობა, ველოსიპედით სიარული და სხვ.).

მოხალისე მშობლების მოტივირება სასწავლო-შემეცნებით აქტივობებში ჩასართავად – მაგალითად, მინდა ჩემი შვილის კლასელებს ვუამბო ჩემი პროფესიის შესახებ; წავუკითხო ჩემი საყვარელი წიგნი; მოვასმენინო ჩემი საყვარელი სიმღერა; ვასწავლო, როგორ დაიმუშაონ ნაკაწრი, როგორ დაიცვან ჰიგიენის წესები; გავუზიარო შთაბეჭდილება ჩემი პირველი მოგზაურობის შესახებ; ვაჩვენო, როგორ მოძებნონ რუკაზე ქვეყნები; ავუხსნა ჩემი საყვარელი სამაგიდო თამაშის წესები და სხვ.).

გავააქტიუროთ მათი ჩართულობა პროექტების მზადებისას – მკაფიოდ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განვუმარტოთ, კონკრეტულად რომელ აქტივობაში როგორი ფორმით უნდა ჩაერთონ; რატომ არის მათი ჩართულობა მნიშვნელოვანი; სად გადის ზღვარი დახმარებასა და ჩარევას შორის და სხვ.

ვასწავლოთ, როგორ იკითხონ, ხატონ, წერონ, ითამაშონ ერთად თავისუფალ დროს. როგორ შეარჩიონ სხვადასხვა ტექსტი თუ ანიმაცია ერთად, წაკითხვისას/ყურებისას რაზე გაამახვილონ ყურადღება, როგორ შეუქმნან ბავშვს მარტივად კომფორტული მიკროსივრცეები კითხვისათვის, სამეცადინოდ და ა.შ. გავუზიაროთ ამისთვის სხვადასხვა ონლაინ რესურსი, პლატფორმა თუ ტუტორიალი.

ამ ფორმატით თანამშრომლობა მშობლებთან გაზრდის მათ ინფორმირებულობას, ნდობას ჩვენდამი და თავდაჯერებულობასა და მოტივაციას სწავლება-სწავლის პროცესში ჩასართავად.

**⇨ ვიზრუნოთ თვითგანვითარებაზე, შევიძინოთ/გავიღრმაოთ მედიაწიგნიერებისა და ICT-ის უნარები. გამოვიყენოთ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული ინსტრუმენტები თუ სასწავლო მასალა. ვითანამშრომლოთ კოლეგებთან, თუნდაც სრულიად უცნობებთან, გავუზიაროთ და ვითხოვოთ საჭირო „ხარაჩოები“.**

**⇨ სასწავლო აქტივობების საკლასო ოთახში გადანაცვლების შემდეგ, არ შევწყვიტოთ დისტანციური სწავლების ფორმატისა და რესურსების გამოყენება და ამ პერიოდში შეძენილი ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება ჩვენ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილად ვაქციოთ.**

მაშასადამე, პასუხი კითხვაზე, ***რა ვაკეთოთ ბავშვებთან ერთად დისტანციურად***, ძალიან მოკლედ, ალბათ, დაახლოებით ასეთი იქნება:

✓ რასაც აქამდე ვაკეთებდით – ვასწავლოთ და ვისწავლოთ, ოღონდ განსხვავებულ, საინტერესო და გამოწვევებით სავსე ფორმატში.

**თათა ჭანტურია**

*განათლების სპეციალისტი, ფილოლოგი*

გამოცდილება

# „მელთდაუნის“ შემდგომ, აღდგენის ეტაპი

✓ როდესაც გაღიზიანება განელდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამბავი დასრულდა. აღდგენის ეტაპზე ძირითადად ბავშვი არის ძალაგამოცლილი, შეშინებული, დაბნეული და, კვლავ, გრძნობების მორევში. სტრესის შედეგად გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებების დონე, ჯერ კიდევ, მაღალია, ბავშვი კი ისევ მგრძნობიარეა. ნერვული სისტემისთვის ცვლილების მოსახდენად და აღსადგენად დროა საჭირო. მიეცით ბავშვს თავის დაღწევისა და უსაფრთხოდ დამშვიდების შესაძლებლობა, რადგან ის, ჯერ კიდევ, მაღალი შეტევის ზღვარზეა, შეწუხებული და მიდრეკილი, კვლავ, გაღიზიანებისკენ.

✓ ბავშვი, როგორც კი წყვეტს შინაგანი გრძნობების გარეგან გამოხატვას, მასწავლებლები და მშობლები უშვებენ მთავარ შეცდომას, იმის დაშვებით, რომ ბავშვი კარგადაა და მზადაა დაუბრუნდეს აქტივობას. გახსოვდეთ, რომ ნერვულ სისტემას, ჯერ კიდევ, აქვს შენარჩუნებული შფოთვის და შიშის მაღალი დონე. ჯერ კიდევ, არ მომხდარა აზროვნების, მსჯელობის და სტრესის დაძლევის უნარების აღდგენა. აღნიშნულ ეტაპზე, გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები:

➪ დაიხიეთ უკან;

➪ ნუ „დააყრით“ კითხვებს, რჩევებს, მოთხოვნებს;

➪ აგრძნობინეთ, რომ ის არის უსაფრთხოდ და აღიარებული;

➪ მიეცით დრო და სივრცე დასამშვიდებლად;

➪ უთხარით, რომ ახლოს ხართ, საჭიროების შემთხვევაში;

➪ მიეცით ნებისმიერი სენსორული ნივთი (მაგ., საბანი, რბილი სათამაშო, ბალიში, საყვარელი მუსიკა და ა.შ.), რომელიც დაეხმარება დამშვიდებაში.

**– რა დრო სჭირდება მას?**

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ბავშვის ნერვული სისტემა გაღიზიანებული და რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს თავს გარშემომყოფებთან. აღდგენის პროცესს შეიძლება დასჭირდეს წუთებიდან საათამდე, ხოლო ზოგისთვის უფრო დიდხანს. ერთი და იგივე პირისთვის, შეიძლება განსხვავდებოდეს მისი ხანგრძლივობა, ერთი შემთხვევიდან მეორემდე, გამომდინარე მისი ნერვული სისტემის მდგომარეობიდან, მელთდაუნამდე და მის შემდგომ. უზრუნველყავით ბავშვი მშვიდი სივრცით. მდგომარეობის შესაფასებლად, პერიოდულად შეამოწმეთ და იქონიეთ ხანმოკლე ინტერაქცია ან უბრალოდ დაელოდეთ, სანამ თავად არ მოგიახლოვდებათ ლაპარაკში ჩასაბმელად. ჩვეულებრივ, ეს საუკეთესო ხერხია. განსხვავებით, ბავშვის ხელახლა სწრაფი ჩართვით საქმიანობაში, რითაც მხოლოდ გარისკავთ მისი თავიდან გაღიზიანებით.

**ნინო კაპერსკი**
*თბილისის მე-200 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი*

დისტანციური სწავლება

# შექმნილ ვითარებაში კარგად გამოჩნდა გუნდური მუშაობის მნიშვნელობა

**სუსანა აკოფოვა**
**სსიპ ქალაქ ახალციხის N3 საჯარო სკოლის დირექტორი**

მსოფლიოში გავრცელებული ვირუსის covid-19 პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სკოლები გადავიდნენ ონლაინ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე.

დისტანციური სწავლება ხორციელდება Microsoft Teams-ის აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც მოსწავლეებს და მასწავლებლებს უადვილებს online რეჟიმში ჯგუფურ კომუნიკაციას.

დისტანციური სწავლება სრულყოფილია ზოგადი განათლების მისაღებად და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, რომელიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მოსწავლეების მიერ განათლების მიღების ალტერნატიულ საშუალებას.

დისტანციური სწავლება მასწავლებლებს აძლევს საშუალებას, მოსწავლეებთან დაამყარონ პირდაპირი კომუნიკაცია და მათგან მიიღონ სრულფასოვანი უკუკავშირი. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ გაიცა რეკომენდაციები.

პირველივე დღიდან ჩვენი სკოლა ჩართულია ამ პროცესში.

ჩვენი სკოლის თითოეულმა პედაგოგმა შეძლო სასწავლო თემების ოპტიმალურად გადანაწილება, სპეციალურად ამ პირობებისთვის შედგენილი საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. წინასწარ გეგმავენ საგაკვეთილო პროცესებს, ეცნობიან სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ, ინტერნეტსივრცეში არსებულ სხვადასხვა რესურსს და ცდილობენ მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად საინტერესო გაკვეთილების ჩატარებას დისტანციურად.

გარდა ამისა, ჩვენ მივესალმებით უნიკალურ პროექტს „ტელესკოლა“, რომელიც ჩვენმა სამინისტრომ, საზოგადოებრივ პირველ არხთან ერთად, განახორციელა უმოკლეს ვადებში. ამ პროექტში, აგრეთვე, ჩართული არიან სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ექიმები, უზრუნველყოფილია თარგმნა ჟესტურ ენაზე, ასევე სატელევიზიო გაკვეთილები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია.

გამომდინარე იქედან, რომ არსებობს პროექტი „ტელესკოლა“ და, პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს დისტანციური სწავლება, ეს სემესტრი აუცილებლად შედგება.

აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს, მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ხათუნა ხმალაძეს, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია თავისი გამოცდილებითა და შესაძლებლობებით.

აგრეთვე დიდ პატივისცემას გამოვხატავ განათლების სამინისტროს, თითოეული კეთილის მსურველის, კოლეგის, პედაგოგისა თუ გულისხმიერი ადამიანების მიმართ, რომლებმაც არ დაიშურეს ძალა და ღონე ჩვენთვის გაეწიათ უდიდესი დახმარება, გაეზიარებინათ საუკეთესო გამოცდილება და შესაძლებლობები. მათ მოგვცეს იმის საშუალება, რომ დაუბრკოლებლად გადაგველახა თითოეული პრობლემა, თავსატეხი თუ გაუგებრობა. მათი წყალობით შევძელით გადაგვედგა სწორი და ნაყოფიერი ნაბიჯები.

მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენი მოსწავლეების მშობლებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ პროექტში და მძიმე წუთებში მხარს გვიჭერენ, გვეხმარებიან, გვიზიარებენ გამოცდილებას.

დიდი მადლობა ჩვენს თითოეულ მასწავლებელს და მოსწავლეს ჩართულობისთვის, მხარში დგომისა და დიდი სიყვარულისთვის.

იყო უამრავი პრობლემა, რომელიც დისტანციური სწავლების დაწყების პირველ პერიოდში შეიქმნა. დღესდღეობით კი შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თითოეული მათგანი დაძლეულია.

შექმნილ ვითარებაში კარგად გამოჩნდა გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი მიდგომის და სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა.

ჩვენ მზად ვართ მედგრად დავუდგეთ ახალ გამოწვევებს, ვითანამშრომლოთ და შეძლებისდაგვარად დავიხვეწოთ კიდეც.

**რიფსიმე არუთუნიანი**
**სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N3 საჯარო სკოლის დირექტორი**

Վրաստանում կորոնավիրուսի (Govid-19) տարածման հետ կապված արտակարգ դրության սահմանումից հետո կրթական ոլորտն առաջինն էր, որ նախաձեռնեց հեռավար առցանց ուսուցումը, որը հաստատվեց մարտի 21-ից և ուսումնական գործընթացը դպրոցներում դադարեցվեց մինչև ուսումնական տարվա վերջ /15,06,2020թ /,բայց աշակերտների ուսուցումը կշարունակվի առցանց։

Ելնելով տարբեր երկրների հեռավար ուսուցմանն անցնելու գործընթացից միջազգային կազմակերպությունները Վրաստանում գործող այս կրթական մոդելը աշխարհում ամենաստացվածն ու լավագույն է և ընթացքով և թե արագ կողմնորոշվելով։ Այս կրթական նոր մոդելի ձևավորման համար մեծ դեր ունեն Վրաստանի վարչապետ Գ Գախարիան և Վրաստանի կրթության, գիտության,մշակույթի և սպորտի նախարար Մ Չխենկելին, որոնք արագ կազմակերպեցին ուսուցման հեռավար համակարգչային ծրագիրը՝ ընթացքում ավելի կատարելագործելով ու հեշտացնելով, դարձնելով այն նպատակային։Մեր դպրոցում այս ուսուցման գործընթացին կրթական համակարգը կարողացավ արագ հավաքագրվել ու հեռավար, առցանց դասերի միջոցով վերսկսել դասընթացները տանից, համացանցի միջոցով։ Անչափ երախտապարտ ենք կրթության նախարարությանը, որ ամեն ինչ արեց, որպեսզի ուսուցիչներին ու աշակերտներին առաջարկվող հանրակրթական նոր մեթոդը մատչելի լինի։ Սա մեծ օգնություն էր թե ուսուցիչների և թե աշակերտների համար, որը կարող է և հետագայում պատճառ դառնալ աշակերտների հետ հեռավար ուսումնական պլաններ կազմելուն։Հեռավար ուսուցման ամենաառաջնային դրական կողմերից մեկը այն է, որ աշակերտները մեծ պատասխանատվությամբ են մասնակցում դասերին, որ անիմաստ չեն վատնում իրենց ժամանակը, միանում են դասերին նախապես կազմված դասացուցակի, որը գործում էր դպրոցում ըստ Ազգային ուսումնական պլանի։ Դժվարությունները սկզբնական շրջանում առաջացան սուղ ռեսուրսներից ու հմտություններից (տեխնիկական միջոցներ, համակարգիչ, հեռախոս, համացանց), սակայն փոխաջակցության շնորհիվ, այս նոր միջավայրում արագ կողմնորոշվեցինք և սկսեցինք մեր ընդհատված դասընթացները, գրանցելով բոլորին համացանցի համապատասխան հարթակում։ Կարծում եմ այս պարագայում մեզ համար մեծ դեր ունեցավ նվիրվածությունը աշխատանքին, նաև սերն ու պատասխանատվությունը մեր աշակերտների նկատմամբ։ Այս դժվարին իրավիճակում պետք է նշեմ, որ ծրագրի հաջողությանը աջակցեցին նաև ծնողները, որոնց ուշադրությունն ու օգնությունը մեծ նշանակություն ունեցան ոչ միայն տարրական դասարաններում, այլև միջին ու ավագ դասարանների աշակերտների համար։ Հեռավար ուսուցման պայմաններում որպես օգնող օղակ օգտագործում ենք համացանցի բոլոր միջոցները՝տեղեկատվական և հեռահաղորդակցության ժամանակակից տեխնոլոգիաները, բայց հիմնականում Teams և Viber ծրագրերը։ Ծրագրի առավելությունը արդյունավետությունն է, քանի որ հնարավորություն է տալիս անմիջական շփում ստեղծելուն և հաղորդակցվելուն։ Teams ծրագրում կա նաև հատուկ հարթակ որից օգտվում են և ուսուցիչները և աշակերտները, որտեղից կարողանում են ներբեռնել անհրաժեշտ հոդվածներ կամ նյութեր, տնային աշխատանքներ և կարող են երկկողմանի ուղարկել միմյանց նաև կազմակերպել շնորհանդեսներ, տեսազանգերու բազմաթիվ այլ հնարավորություններ։ Այս ծրագրով ուսուցումը ավելի պատասխանատու է դարձրել թե ուսուցիչներին, թե աշակերտներին, և թե ծնողներին։ Այս ծրագրից բացի կրթության նախարարությունը Առաջին ալիքի հետ համատեղ սկսեց հեռարձակել նաև «Հեռուստադպրոց»-ի դասընթացները, հաշվի առնելով որոշ շրջանների համացանցի անհասանելիությունը,որը ուսուցիչների, աշակերտների և ծնողների համար դարձավ շատ սիրելի ու հետաքրքիր հաղորդում։ Մեր շրջանում համացանցի հետ կապված անհասանելիություն չկա, բայց բոլորն էլ մեծ սիրով դիտում են այդ ծրագիրը։ Բացի վրացերենից, ազգային փոքրամասնությունների մայրենի լեզվով էլ են հեռարձակվում այդ դասընթացները ըստ նախօրոք կազմված դասացուցակի։ Մեր դպրոցի ուսուցիչները, աշակերտները և ծնողները մշտապես և մեծ սիրով հետևում են «Հեռուստադպրոցի» հեռարձակումներին։ Համացանցային ուսուցման ժամանակ մեր դպրոցի աշակերտները ուսուցչի հետ միասին կազմակերպեցին հեռավար միջոցառում, նվիրված Հայոց Ցեղասպանության 105-ամյակին (մասնակցել են 5-րդ,7-րդ, 9-րդ և 10-րդ դասարանները), այժմ պատրաստվում են Վրաստանի և Հայաստանի անկախությանը նվիրված միջոցառմանը (26.05. և 28 05 2020թթ)։

Բայց և այնպես, ինչքանով էլ որ հետաքրքիր լինի այս միջավայրում աշխատելը, այնուամենայնիվ հույս ունենք, որ նոր ուսումնական տարին միասին կդիմավորենք դպրոցում, հաղթահարելով կորոնավիրուսային դժվարությունները, որովհետև տարբերությունը դասարանում և համակարգչի դիմաց, ուր ներկայությունն ու խոսքը հաճախ են ընդհատվում կապի պատճառով՝ մեծ է, որ անմիջական շփումը ավելի արդյունավետ և ըմբռնելի է աշակերտների համար։

մոամզադ **ԼԱԼԻ ԹՎԱԼԱԲԵՅԻՇՎԻԼՄԱ**

უმაღლესი განათლება

# სწავლის საზღაურის გადახდის დროს სტუდენტები ინდივიდუალურად განსაზღვრავენ

*როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, კორონავირუსის პანდემიის ფონზე, განათლების სფეროს ყველა მიმართულებით ანტიკრიზისული გეგმა წარმოადგინა. მან საგანგებოდ განმარტა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტებში სემესტრის ფარგლებში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი ან გადავადებულია სწავლის გადასახადი. ფინალური გამოცდები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უნდა ჩატარდეს შეზღუდვების შემსუბუქების მეექვსე ეტაპზე. რაც შეეხება სადიპლომო ნაშრომებს, მათი შესრულება და დაცვა მოხდება ინდივიდუალური გრაფიკის მეშვეობით, სტუდენტისა და ხელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე. საინტერესოა, როგორ ართმევენ თავს სამინისტროს რეკომენდაციებს უნივერსიტეტები. ამ საკითხებთან დაკავშირებით გრიგოლ როგაძიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, მამუკა თავხელიძეს ვესაუბრეთ.*

**უმაღლესი სასწავლებლები ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. ჩასატარებელია ფინალური გამოცდები, დამამთავრებელი კურსებისთვის კი – სამაგისტრო თუ საბაკალავრო ნაშრომების დაცვა. როგორ აპირებთ დისტანციურად შუალედური თუ საგოლოო გამოცდების ჩატარებას ან თუნდაც შეფასების განხორციელებას?**

➡ ჩვენმა უნივერსიტეტმა სწავლება-სწავლის პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკა დიდი ხნის წინ დანერგა, ამდენად, რთული არ იყო ახალ მოთხოვნებთან ადაპტირება. ჩვენი ელექტრონული პროგრამა იძლევა არა მარტო ონლაინ ლექციის ჩატარების შესაძლებლობას, არამედ დისკუსიის, ზეპირი გამოკითხვის, პრეზენტაციის და სხვა მსგავსი აქტივობის ორგანიზების საშუალებას. ჩვენთან შუალედური გამოცდები, ზოგიერთ დისციპლინაში, უკვე ჩატარდა და საკმაოდ ეფექტურად. ვფიქრობთ, თუ არ იქნება სხვა დირექტივა, დასკვნითი გამოცდების ჩატარებაც შესაძლებელია ამ ფორმატით.

კონკრეტული მეთოდის შერჩევისას გამოვდივართ სწავლის შედეგების იმ ჩარჩოდან, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინის სილაბუსით. დღემდე, ხშირად ვიყენებდით შეფასების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა – პროექტის, ესსე, რეფერატის, ქეისებისა თუ კაზუსების ანალიზის მომზადება, საშინაო დავალების ფორმატით, და წარდგენა აკადემიური ჯგუფის წინაშე. ამ დავალებებში თავი შეიძლება მოიყაროს (სწავლის შედეგების შესაბამისად) ცოდნისა თუ უნარების ყველა იმ კომპონენტმა, რომლის გაზომვასაც გეგმავს სილაბუსი. რაც შეეხება აკადემიურ კეთილსინდისერებას, ამისათვის ჩვე ნგვაქვს პლაგიატის გამოვლენის ელექტრონულ იპროგრამა, რომელიც გვეხმარება დავიცვათ სტუდენტები ამ „ცდუნებისგან“.

ესეც არ იყოს, დამოუკიდებლად მომზადებული ნაშრომის წარდგენისას ადვილად ვლინდება სტუდენტის რეალური ცოდნის შესაბამისობა მომზადებული ნაშრომის ხარისხთან. სხვათა შორის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარების აუცილებლობა გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებითაც.

**შეზღუდვების მოხსნის მეექვსე ფაზის შემდეგ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება ეძლევა არა დისტანციურად, არამედ საგამოცდო სივრცეებში მიიღოს სტუდენტები. ხართ თუ არა მზად, რომ დააკმაყოფილოთ სამინისტროს რეკომენდაციები და, გაწერილი ვალდებულებების საფუძველზე, სტუდენტებსა და პედაგოგებს უსაფრთხო გარემო შეუქმნათ?**

➡ კარგად გვესმის, რომ შეზღუდვების მოხსნა არ ნიშნავს იმ წესების შესრულებისაგან განთავისუფლებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვირუსისგან დაცვა. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი სრულადა მზად დაიცვა სამინისტროს ყველა მოთხოვნა, შეუქმნას სტუდენტებსა და პერსონალს აბსოლუტურად უსაფრთხო გარემო იმ აქტივობების განსახორციელებლად, რომელიც საჭიროა სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. მხედველობაში მაქვს არა მარტო დასკვნითი გამოცდების ჩატარება, არამედ ლაბორატორიული თუ კლინიკური პრაქტიკების ორგანიზება.

**განათლების ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით – უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი გადავადებულია ან შეთავაზებულია გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი. თქვენი უნივერსიტეტი რას სთავაზობს სტუდენტებს?**

➡ უნივერსიტეტს ისედაც ჰქონდა გადახდის ძალზე მოქნილი სისტემა. მგონი, ჩვენი სტუდენტები, ამ თვალსაზრისით, არასდროს განიცდიდნენ დისკომფორტს, მით უფრო ახლა, როდესაც ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მოსახლეობა – სტუდენტებს მივეცით საშუალება ინდივიდუალურად გადაწყვეტონ სწავლის საზღაურის გადახდის დრო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი სტუდენტობა შეგნებით ეკიდება არსებულ პრობლემებს და, შეძლებისდაგვარად, ცდილობს შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება. ამისათვის მათ დიდ მადლობას ვუხდი. მიუხედავად იმისა, რომ დავალიანება ძალიან დიდია, უნივერსიტეტს არც ერთი სტუდენტისტვის არ შეუჩერებია სტატუსი სწავლის საზღაურის გადაუხდელობის გამო.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

# უმაღლესი განათლების მთელი სისტემა არ დაელოდება მეექვსე ეტაპს – რა დაშვებები იგეგმება ინდივიდულურად

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი საუბრობს უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების გეგმაზე, რომელიც სასწავლო წლის დასრულებამდე განხორციელდება, მათ შორის, განმარტავს იმას, თუ როგორ შეძლებენ სტუდენტები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვას და მეექვსე ფაზამდე, სპეციალური რეკომენდაციების დაცვით, ლაბორატორიებით სარგებლობას.*

**როდის გაიხსნება უმაღლეს სასწავლებლებში საგამოცდო სივრცეები**

➡ უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებისგან განსხვავებით, შედარებით სხვა სიტუაცია გვაქვს, ვგულისხმობ სწავლების პერიოდს, რადგანაც ჩვენთან სემესტრი ასე ერთმნიშვნელოვნად გარკვეული თარიღებით არ სრულდება – სემესტრის დასრულების თარიღებს უმაღლესები მოგვაწოდებენ. ამის გარდა, მოგეხსენებათ, რომ ჩასატარებელია ფინალური გამოცდები და დამამთავრებელი კურსებისთვის კი სამაგისტრო თუ საბაკალავრო ნაშრომების დაცვა. ასე რომ, უმაღლესი განათლების სისტემა კიდევ უფრო მეტი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა, რასაკვირველია, ეს რაოდენობით არ ფასდება, მაგრამ კიდევ ბევრი სამომავლო გეგმაა გასაწერი და ახლაც მუდმივი მუშაობის პროცესში ვიმყოფებით. თავისთავად, მზად გვაქვს და უკვე შეთავაზებულია უმაღლესებისთვის ალტერნატიული პაკეტები, როგორ წარიმართოს დისტანციურად შუალედური თუ საბოლოო გამოცდები, ან როგორ განხორციელდეს შეფასება. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ შეზღუდვების მოხსნის მეექვსე ფაზის შემდეგ, უკვე უფლება აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არა დისტანციურად, არამედ საგამოცდო სივრცეებში მიიღონ სტუდენტები. ამისთვის კი, უსაფრთხოების გეგმა შემუშავდა და უკვე დამტკიცდა რეკომენდაციები იმის შესახებ, როგორ უნდა მოეწყოს უნივერსიტეტების შიგნით საგამოცდო სივრცეები. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უპირველესია ადამიანების ჯანმრთელობა და ამიტომ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მივცემთ შიდა სივრცეების გახსნის უფლებას, რომლებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ რეკომენდაციებს და სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის უსაფრთხო გარემოს გაწერილი ვალდებულებების საფუძველზე შექმნიან. აქედან გამომდინარე, ახლა საგამოცდო ცენტრები გადასალაგებელი და მოსაწყობია და უნივერსიტეტები ამაზე იმუშავებენ. შიდა საგამოცდო ცენტრებში სტუდენტების შესვლას კი, ჯანდაცვის სამინისტრო მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების მიხედვით განსაზღვრავს – ის გასცემს ნებართვას რომელი სივრცე გაიხსნება.

**როგორ შეძლებენ სტუდენტები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვას**

➡ მოგეხსენებათ რომ ყველა დარგს და ყველა მიმართულებას თავისი სპეციფიკა აქვს – მაგალითად, ჰუმანიტარული დარგის მიმართულების სტდენტებისთვის შედარებით უფრო გამარტივებულია ამ პერიოდში სწავლა. რადგან მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად, საუნივერსიტეტო სივრცეში შესვლის გარეშე, იმუშაონ. ეს პროცესი გაცილებით რთულია საბუნებისმეტყველო დარგების სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით კი, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის (მათთვის ეს რეალურად შეუძლებელია). შესაბამისად, გავითვალისწინეთ არსებული რეალობა და ამიტომ, მათ მიეცემათ საშუალება, ინდივიდუალური გრაფიკების მიხედვით იმუშაონ. ეს იქნება სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელისა და თვითონ სტუდენტის შეთანხმების საფუძველზე დანიშნული თარიღები. გათვლილი იქნება პერიოდი, რომელიც ლაბორატორიაში შესვლის შემდეგ, უკვე ნაშრომის დაცვამდე გაიწერება. რასაკვირველია, ამას დაადასტურებს ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭო და ყველა ის ორგანო, რომელიც ლეგიტიმურია ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

აქვე დავამატებ, რომ საუნივერსიტეტო სივრცეების გახსნასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს დანიშნული რექტორთა საბჭო, სადაც განხილული იქნება ლაბორატორიების გახსნის საკითხიც. რეკომენდაციების თანახმად, მეექვსე ეტაპს არ ელოდება სიცოცხლის შემსწავლელი დარგები და ყველა ის პროგრა-

## უმაღლესი განათლება

მა, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ კონტაქტს და შესვლას აუდიტორიის სივრცეში. ამისთვის უკვე დამტკიცდა რეკომენდაციებისა და ვალდებულებების ნუსხა, რომელიც გაწერს იმ უსაფრთხოების ნორმებს, რომელიც უნდა შეასრულოს სასწავლო ლაბორატორიებმა. ასე რომ, უმაღლესი განათლების მთელი სისტემა არ დაელოდება მეექვსე ეტაპს და ეს დაშვებები ინდივიდულურად, შერჩევით მოხდება იმ ლაბორატორიებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ზომებს სტუდენტებისა და პედაგოგების ჯანმრთელობის დასაცავად.

### ✓ როგორი იქნება საშეღავათო პოლიტიკა და ვინ ისარგებლებს ამით?

➡ საშეღავათო პოლიტიკა შემუშავდა და სამინისტრომ რეკომენდაციები მიაწოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. რა თქმა უნდა, ეს მიდგომები განსხვავებულია აქამდე არსებული მიდგომებისგან და ჩვენ ვიღებთ უნივერსიტეტებისგან უკუკავშირს. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ თითოეულმა უნივერსიტეტმა შეძლო ინდივიდუალურად სტუდენტთა შესაძლებლობების გათვალისწინება. თავისთავად, ჯერჯერობით, ეს გაზაფხულის სემესტრისთვის გაწერილი საფინანსო პოლიტიკაა, რადგან გარკვეული ვალდებულებებიც არსებობს სტუდენტების მხრიდან იმისთვის, რომ უნივერსიტეტმა ეს ყველაფერი უღიაროს და მიანოდოს სასწავლო პროცესი. ამ გადასახადის უკან კი დგას პედაგოგის ხელფასი და ა.შ. აქვე გეტყვით, რომ სასწავლო გრანტები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან არის გასაცემი, გაზაფხულის სემესტრისთვის, შეუფერხებლად გადაერიცხა თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს.

### ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები

➡ ერთიანი ეროვნული გამოცდებისადმი გაჩენილი ინტერესი გასაგებია და ეს გამოწვეულია იმ გლობალური რეალობით, რომელიც არა მარტი საქართველოში, არამედ მთელ სამყაროშია. აქედან გამომდინარე, არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან უფრო მძაფრდება ყველა შეკითხვა, თორემ, სხვაგვარად, ერთიან ეროვნულ გამოცდებთან მიმართებაში ყველაფერი არის იმ წესისა და რიგის მიხედვით (პერიოდის დაცვას ვგულისხმობ), როგორც იყო წინა წლებში. ფაქტობრივად, წინა პრაქტიკის შესაბამისად მივდივართ, რადგან რეალურად გამოცდები დაგეგმილია ივლისის თვეში და ზუსტი თარიღები გამოცხადდება ივნისში. შარშან გამოცხადდა 12 ივნისს და გამოცდები დაიწყო 1 ივლისს. თუმცა, ჩვენ ივნისში დაველოდებით ეპიდმდგომარეობას და იმ ეპიდმაჩვენებლების შესაბამისად მივიღებთ გადაწყვეტილებას, რაც იმ დროისთვის გვექნება – თუ ეს მოგვცემს შესაძლებლობას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ განათლების სისტემა მზად არის გამოცდების ჩასატარებლად. ორგანიზაციული საკითხები, რომელიც უსაფრთხო გარემოს შექმნას ემსახურება, მოგვარების პროცესშია. ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან და ერთად გავდივართ რეკომენდაციებს, რომელიც გამოცდების უსაფრთხო გარემოში ჩატარებას უზრუნველყოფს. მაგრამ, ვინაიდან თვითონ ამ ინფექციისა და ეპიდემიის ისტორიაა ძალიან ხანმოკლე, აქედან გამომდინარე, არ არსებობს მსგავსი გამოცდილება თუ სამედიცინო მტკიცებულებები, რომელსაც დავეყრდნობით. ამიტომ ყოველდღე იცვლება რეკომენდაციებიც, უფროს სწორად ვარიანტები. თუმცა, გამოცდების ჩატარების პერიოდისთვის შევთანხმდებით პაკეტზე, რომელიც რეალურად მაქსიმალურად შექმნის ისეთ უსაფრთხო გარემოს, რომელშიც გამოცდებს ჩავატარებთ. რასაკვირველია, დაცული იქნება დისტანცირებაც, ჰიგიენის ნორმებიც, დეზინფექცირებული იქნება ყველა სივრცე და რეკომენდაციების მიხედვით უზრუნველვყოფთ ამ სივრცეში თითოეულ ინდივიდს შორის მანძილს – მერხებს შორის მანძილს.

მოგეხსენებათ, აქ არ არის საუბარი მხოლოდ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებზე, არამედ საუბარია საერთო სამაგისტრო გამოცდებზე თუ სტუდენტური გრანტის მოსაპოვებლად დარეგისტრირებულ ახალგაზრდებზე და მასწავლებელთა გამოცდებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებზე. ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ მათ უსაფრთხოებას.

მოამზადა **ლალი ჯელაძემ**

## ეპიდემიოლოგიური პროგნოზები

# რა პერსპექტივა აქვს სწავლის ჩვეულ რეჟიმში აღდგენას სექტემბერში

როგორი იქნება კორონას ეპიდემიის შემდგომი განათლების სისტემა, აღდგება თუ არა სრულად სექტემბრიდან ჩვეული სასწავლო პროცესი, როგორ უზრუნველყოფენ სასწავლო დაწესებულებებში დაბრუნებული მოსწავლეებისა და სტუდენტების უსაფრთხოებას? ხომ არ დაემთხვევა ეს პროცესი ე.წ. მეორე ტალღას, რომელზეც სულ უფრო ხშირად გვესმის საუბარი და ხომ არ გამოიწვევს ეს სწავლების ისევ ონლაინ რეჟიმში გადატანას? ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვაა და როგორც ჩანს, ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი არავის აქვს. მართალია, რამდენიმე ქვეყანამ აღადგინა სრულყოფილი სასწავლო პროცესი, მაგრამ ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების გამო, საფრანგეთის მაგალითზე, ვნახეთ, როგორ დაბრუნდა პროცესი უკან.

ალერგოლოგ-იმუნოლოგი გიორგი კამკამიძე ამბობს, რომ სხვა ვირუსულ დაავადებებთან დაკავშირებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სექტემბერში, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, როგორც წესი, ინფექციის ოჯახში მოტანის ძირითადი წყარო ხდება როგორც საბავშვო ბაღები, ასევე სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. ეს ფაქტორი, პირველ რიგში, უკავშირდება მოსწავლეებისა და სტუდენტების დაბრუნებას სასწავლო დაწესებულებებში. წინა წლებში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, ამ თვალსაზრისით, საფრთხე დიდია, შესაბამისად, ძალიან დიდი დაფიქრება და ალტერნატიული მოდელების შემუშავებაა საჭირო, მათ შორის, სასწავლო პროცესის ნაწილობრივი აღდგენაც განიხილება.

*„საერთოდ, ჩვენ ვიცით, როდესაც იწყება სწავლის პერიოდი, ამ დროს, რესპირატორული, სასუნთქი გ ზების ვირუსული ინფექციების გავრცელების პიკი გვაქვს ხოლმე და ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, არც კორონავირუსი იქნება გამონაკლისი. შესაბამისად, ეს არის ერთ-ერთი საფრთხე. რასაკვირველია, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ დროისთვის არსებულ ეპიდსიტუაციასთან როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში. შესაბამისად, უნდა იყოს გარკვეული გეგმა, რადგან შესაძლოა სექტემბერიდანაც არ მოხდეს სრული გახსნა სასწავლო დაწესებულებების. არის ისეთი მიდგომაც, რომ ნაწილობრივ იყოს დასწრება საჭირო, გამოიყოს გარკვეული დღეები და ამ გ ზით მოხდეს სტუდენტებისა და მოსწავლეების რაოდენობის შემცირება სასწავლო დაწესებულებებში და გადანაწილება დღეების მიხედვით. ასეთი მოდელები შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. სრული გახსნის შემთხვევაში, როგორც ხედავთ, სხვა ქვეყნების მაგალითზე, ყველას ისევ ჩაკეტვა მოუხდა. შესაძლებელია, ძალიან კარგად წავიდეს ყველაფერი და სასწავლო პროცესის აღდგენასთან დაკავშირებით არავითარი წინააღმდეგობები არ იყოს.“* – ამბობს გიორგი კამკამიძე.

მოსწავლეების სკოლაში დაბრუნება მნიშვნელოვანი შვება იქნება მშობლებისთვის, მაგრამ კორონავირუსის მეორე ტალღის საფრთხე კვლავ რჩება. სკოლები ამ უჩვეულო სიტუაციასთან გამკლავებას ახლა სწავლობენ და, შესაბამისად, მათაც ბევრი კითხვა უჩნდებათ, რომელთა შორის უმთავრესია – როგორ უზრუნველყონ მოსწავლეთა უსაფრთხოება. ამ მხრივ, უდავოდ, სასარგებლო იქნება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტები, საიტზე OECDeduToday.com, გვთავაზობენ საინტერესო რჩევებს, როგორ უნდა გაიხსნას სკოლები კარანტინის შემდეგ:

**ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ სამი სფეროს მნიშვნელობას:**

✓ ახალი ჰიგიენური ჩვევების წახალისება;

✓ სკოლებში სოციალური დისტანციის ხელშეწყობა;

✓ ინტერნეტში სწავლების დახვეწა;

როგორც კი სკოლები ისევ გაიხსნება, ყველას მოსთხოვენ ხელების რეგულარულ დაბანას და ხველისა და ცემინების დროს ცხვირსახოცის ან იდაყვის აფარებას. სკოლებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ განახორციელონ რიგი დამატებითი ზომები, კერძოდ, შემდეგი:

➡ ***სივრცე და მომსახურება:*** სკოლებს დასჭირდებათ სანიტარიულ-ჰიგიენური შენობები, რომლებიც სოციალური დისტანცირების შესაძლებლობას იძლევა. შესაძლოა საჭირო გახდეს შენობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ იზოლაციას,რომელთა მიმართაც ინფექციის არსებობის შესახებ ეჭვი არსებობს. საჭირო გახდება სკოლის შენობების დამატებით დალაგება და ღრმა დასუფთავება ან რეგულარული ინტერვალებით დეზინფექცია.

➡ ***ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა:*** სანიტარიულ-სადეზინფექციო გელები, მაგალითად, აუდიტორიაში შესვლამდე გამოსაყენებლად, ანტიბაქტერიული ხელსახოცები მაგიდებისა და სკამების გასაწმენდად, პირბადეები და/ან ხელთათმანები. ალბათ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ დისპენსერის თხევად საპონს და არა მის მყარ ფორმებს.

➡ ***სპეციალური სწავლება:*** სკოლებში შესაძლოა საჭირო გახდეს მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და პერსონალისთვის ჰიგიენური და ბარიერული წესების, ასევე კორონავირუსის სიმპტომებისა და მისი შედეგების შესახებ დამატებითი სწავლება.

**სოციალური დისტანცირება სკოლებში**

სკოლებში სოციალური ან ფიზიკური დისტანცია ნიშნავს, რომ სკოლის მოსწავლეები ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან, არანაკლებ, ორი მეტრის დაშორებით უნდა იმყოფებოდნენ. პატარა ბავშვებისთვის ეს მარტივი არ არის. ასევე, ეს შეუძლებელია სტანდარტული ზომის – 60მ², 30 მოსწავლისგან შემდგარ კლასში.

კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება შესაძლებელია სასწავლო განრიგის შეცვლით, მაგალითად: **თითოეული კლასის დაყოფა მცირე ჯგუფებად, სასკოლო საათების შემცირება, დილის და საღამოს ცვლების შემოღება, დიდი სივრცეების, (მაგ: სასადილოს, სპორტდარბაზების, ბიბლიოთეკების და დარბაზების) გარდაქმნა. ჰიბრიდული ვარიანტი შესაძლოა იყოს, ზოგიერთი მეცადინეობის სკოლაში ჩატარება, სხვების კი ონლაინ რეჟიმში.**

ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რაც სკოლის შენობის შიგნით ხდება, ახლა კი, რაც შეეხება გარე სივრცეს – ზომიერ კლიმატურ პირობებში, შესაძლებელია სკოლების შენობების გარშემო არსებული გარე სივრცეების გამოყენება სწავლა-სწავლებისთვის, სანამ ამინდი ამის შესაძლებლობას იძლევა.

სკოლის შენობის კარგად განიავება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ადრე. სკოლის ავეჯი შესაძლოა გამოყენებული იყოს მოსწავლეთა დასარწმუნებლად, რომ ერთმანეთს ორ მეტრზე ნაკლები მანძილით არ მიუახლოვდნენ; სხვა გადაწყვეტილებები, მინიმალური მანძილის უზრუნველსაყოფად, იატაკზე გრაფიკულ ელემენტების დატანას მოიცავს (როგორც სუპერმარკეტების რიგებში).

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

მწერლები ბავშვებს

# „ერთი პატარა ლაქა“

ეკა ცუცქირიძე

ასე ჰქვია ჩემს ზღაპარს, რომელიც ბევრი ნლის ნინ დავნერე ბავშვებისთვის.

ამ ზღაპარში თხუპნია ბიჭის ტანსაცმელიდან პატარა ლაქა ჩამოვარდება, უკან ჯი ველარ დაბრუნდება, რადგან მის ადგილს მუსაბის დიდი ლაქა დაიკავებს. პატარა ლაქა ახალი პატრონის მოსაძებნად მიდის. ივლის, ივლის და ერთი მხატვარი ბიჭის ფუსფელს დაეტყუპება. ბიჭი ჯერ დალაქავებული ფუსფლის გადაგდებას დააპირებს, მაგრამ მერე გადაიფიქრებს, ლაქას დააკვირდება, ფანქარს შემოავლებს, ვაშლს და მსხალს დაუსკუპებს, იქვე ხესაც დახატავს, ბალახსაც, ყვავილებსაც, მზესაც.

ასე იქცევა პატარა ლაქა ზღარბად, ეკლებზე რომ ვაშლი და მსხალი დაუმაგრებია და მწვანე ბალახში მხიარულად მიკუსკუსებს.

როცა ეს ზღაპარი დავნერე, მაშინ მხოლოდ ვოცნებობდი, ნეტავ ხატვა ვიცოდე, რომ ჩემი ზღაპრების პერსონაჟები თავად დავხატო-მეთქი. ეს ისე ძალიან მინდოდა, რომ ოცნება ჩვეულებრივ ვაქციე – ხატვა დავიწყე.

ალბათ იცით, რომ ზოგადად, ჯერ ტექსტი ინერება და შემდეგ ამ ტექსტზე ილუსტრაციები იქმნება, მე ჯი ახლა ხშირად პირიქით ვაკეთებ – ჯერ პერსონაჟებს ვხატავ და შემდეგ მათ ზღაპრებს, ლექსებსა თუ მოთხრობებს ვუგონებ. ხანდახან ჯი იმ მხატვარი ბიჭივით ვიქცევი, რომელმაც ლაქა ზღარბად გადააქცია.

სნორედ მსგავსი აქტივობა მინდა შემოგთავაზოთ. ეს საკმაოდ საინტერესო და სახალისო პროცესია.

დახუჭეთ თვალები და ფუსფლეზე ან მუყაოზე (პატარა ზომის უმჯობესია) საღებავით ერთი ან რამდენიმე ლაქა დასვით. ჩემს ფუსფლეზე ასეთი ლაქები გაჩნდა.

ახლა ჯარგად დააკვირდით, შეგიძლიათ ფუსფლი შეატრიალოთ, შემოატრიალოთ, ისევ ჯარგად დააკვირდეთ და აუცილებლად დარნახავთ იმას, ვინც ლაქების უკან იმალება.



ჩემს ლაქებში ხეებთან მდგარი ცისფერი ბეჭემოტი ალმოვაჩინე

თქვენთან, ბეჭემოტის ნაცვლად, შეიძლება ადამიანი იყოს, ან ჩიტი, ან ლომი, ან მელაკუდა, ან სულაც დინოზავრი. დააფიქსირეთ ისინი განსხვავებული ფერის ფანქრით ან ტუშით. მერე ჯი ზღაპარი მოუგონეთ და ეს ზღაპარი თქვენს ოჯახის წევრებს, ჯალსელებს, მეგობრებს წაუკითხეთ. დარწმუნებული ვარ, მოეწონებათ.

პერსონაჟები არა მარტო საღებავის, არამედ ნებისმიერი ლაქებისგან შეგიძლიათ შექმნათ.

მე ყავის ლაქისგან ასეთი მხიარული მამონტი გამომივიდა

არც ნანერებიანი, უკვე გამოუსადეგარი ფუსფლის დაჯუჭვა და გადაგდება იჩქარო. აიღე ეს ფუსფლი, დახიე პატარა ნაჯუნებად, ქალაღდის ნებოთი არათანაბრად და არეულად დაანებეთ ნაჯუნები სუფთა ფუსფლესა ან მუყაოზე. დააკვირდით და მათშიც ალმოაჩენთ თქვენი მომავალი ზღაპრის პერსონაჟს.



მე ასეთი მხიარული ფოქსტერიერი ალმოვაჩინე

ამ აქტივობაში შეგიძლიათ სხვებიც ჩართოთ, მაგალითად, ჯალსელები. გაცვალეთ ერთმანეთში ლაქებისგან შექმნილი პერსონაჟები და მათ თქვენი ზღაპარი მოუგონეთ.

მე ჯი გისურვებთ, ყოველთვის შეგეძლოთ ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დღეების ლამაზ, საინტერესო და შინაარსიან დღეებად გადაქცევა.

მიხვდით ხომ? ლაქების ზღაპრის პერსონაჟებად გადაქცევაც ხომ ამას ნიშნავს.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.